| 5.2 სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევითი პროცესები | | |
|---|---|---|
| 5.2.3 | **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| № დონე | **სრულყოფის დონეების აღწერილობა - ინდიკატორები** | |
| 1 | პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია.<br>პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, ამ მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br>გამოიყენება სტუდენტთა შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, თუმცა ის სრულად არაა დანერგილი სასწავლო პროცესში.<br>სწავლების მეთოდიკა და სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დამოუკიდებლად ყალიბდება, საკუთარი შეხედულებებისა და წარმოდგენების საფუძველზე. | 1-2 |
| 2 | პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, ამ მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br>არსებობს სტუდენტთა შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა. სისტემა სრულადაა დანერგილი სასწავლო პროცესში.<br>სწავლების მეთოდიკა და სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ერთობლივადაა შემუშავებული და დამტკიცებულია მიმართულებაზე. არ არის უზრუნველყოფილი სტუდენტთა ინფორმირებულობა სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და მეთოდების შესახებ.<br>არ არის ჩამოყალიბებული გამჭვირვალე კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის. | 3-4 |
| 3 | არსებობს სტუდენტთა შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა. სისტემა დანერგილია სასწავლო პროცესში.<br>შემუშავებულია სტუდენტის შეფასების მეთოდები. უზრუნველყოფილია სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების მეთოდების შესახებ. მიმდინარეობს სტუდენთა შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის. | 5-6 |
| 4 | პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, ამ მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br>არსებობს სტუდენტთა შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა. სისტემა სრულადაა დანერგილი სასწავლო პროცესში.<br>შემუშავებულია სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის, მაგრამ მათი სისტემური გამოყენება არ ხდება შეფასების პროცესში. | 7-8 |
| 5 | სტუდენტის ცოდნის შეფასებისას საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტისათვის გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. | 9-10 |